# პროფესიონალი

№86

PROFESIONALI

WWW.NEWDESIGN.GE

# ნიუ დიზაინი

NEW DESIGN


თბილისი. კახეთის გზატკეცილი, ეკ. ბაღდავაძის 20
ტელ: (032) 271 64 01 ; მობ:(591) 00 64 01
E-mail: giorgii2004@gmail.com









**www.prof-news.com**


მთ.რედაქტორი:
ელა დუდაევი

სარედაქციო კოლეგია

მისამართი:
თბილისი, ჰ. ინგოროყვას №6
ტელ.: 299-82-60

**E-mail:profesionali@mail.ru**


ჟურნალი მოქმედებს თავისუფალი პრესის პრინციპით. ავტორი თავად აგებს პასუხს მასალაში მოყვანილი ფაქტების სიზუსტეზე. რედაქცია ყოველთვის არ იზიარებს ჟურნალისტის პოზიციებს და ამავე დროს, არ გამოხატავს, არცერთი პარტიისა თუ პოლიტიკური დაჯგუფების ინტერესებს.


25.06.18. - 25.07.18.


უმორჩილესად გთხოვთ ჩვენი ჟურნალის წარმომადგენლებს
მოსთხოვოთ სათანადო მოწმობა

# პარლამენტმა მთავრობის სტრუქტურული რეორგანიზაციის შესახებ საკანონმდებლო პაკეტი მიიღო

პარლამენტის პლენარულ სხდომაზე „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ კანონპროექტი გამომდინარე კანონპროექტთა პაკეტთან ერთად, მეორე მოსმენით განიხილეს და მხარი დაუჭირეს. საკანონმდებლო პაკეტი პარლამენტს საქართველოს მთავრობის საპარლამენტო მდივანმა, ნათია მიქელაძემ წარუდგინა. მისი განმარტებით, კანონპროექტის მიზანია ცვლილებების განხორციელება, რომელიც არსებულ გამოწვევებს უკეთ უპასუხებს და ქვეყნის უმთავრეს მიზანს - მოსახლეობის, თითოეული მოქალაქის კეთილდღეობის უზრუნველყოფასა და ქვეყნის სწრაფ განვითარებას მოემსახურება. კანონპროექტით გათვალისწინებული სტრუქტურულ-ფუნქციური ცვლილებები მეტ პროგრესს, თანამედროვე სახელმწიფოსა და კიდევ უფრო მეტად მოქნილი სახელმწიფო აპარატის ჩამოყალიბებას მოემსახურება და მაქსიმალურად შეუწყობს ხელს ადმინისტრაციული დანახარჯების შემცირებას. საქართველოს მთავრობის საპარლამენტო მდივნის განცხადებით, წამყვან კომიტეტში საკანონმდებლო პაკეტის მეორე მოსმენით განხილვის შემდეგ რიგ კანონპროექტებში გარკვეული ცვლილებები განხორციელდა. მისი თქმით, იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე კანონპროექტთა პაკეტის მეორე მოსმენით განხილვის შემდეგ, ცვლილება შევიდა კანონპროექტში - „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და საქართველოს პარლამენტს ორი სამინისტროს დასახელება ახალი რედაქციით წარედგინა. სახელწოდება - „განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო“ შეიცვლება სახელწოდებით - „განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო“. ასევე, სახელწოდება - „ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს“ სახელწოდება შეიცვლება სახელწოდებით - „ოკუპირებულ ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო“.

საქართველოს პარლამენტმა მთავრობის სტრუქტურული რეორგანიზაციის შესახებ საკანონმდებლო პაკეტი მეორე მოსმენით, 84 ხმით 1-ის წინააღმდეგ მიიღო, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონპროექტი. აღნიშნული საკითხი დეპუტატებს, მთავრობის საპარლამენტო მდივანმა, ნათია მიქელაძემ I მოსმენით, თანმდევ 115 პროექტთან ერთად წარუდგინა.

„ქვეყნის განვითარებისთვის აუცილებელია, მოქნილი ოპერატიული და ეფექტიანი სამთავრობო ინსტიტუტები, რომლებიც იმოქმედებენ გამჭვირვალობის მაღალი სტანდარტით და რომლებზეც ხორციელდება საზოგადოებრივი და ინსტიტუციონალური კონტროლი. მცირე და მოქნილი მთავრობის კონცეფციის განსახორციელებლად, ამ ეტაპისთვის დაგეგმილია სამთავრობო უწყებების გაერთიანება/ოპტიმიზაცია და მათ შორის ფუნქციების გადანაწილება დაგეგმილი რეფორმების სწრაფად და ეფექტურად განხორციელების მიზნით. მიგვაჩნია, რომ უნდა ჩამოყალიბდეს კიდევ უფრო მეტად მოქნილი სახელმწიფო აპარატები, მოხდეს მაქსიმალური ოპტიმიზაცია, რის შედეგადაც უფრო ეფექტური გახდება მართვა და შემცირდება ბიუროკრატია“, - აღნიშნა მთავრობის საპარლამენტო მდივანმა.

ცვლილებების თანახმად:

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს უერთდება კულტურისა და სპორტის სამინისტრო და ახალი სამინისტროს სახელწოდება იქნება საქართველოს განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, რომელიც ჩაითვლება ამ ორი სამინისტროს უფლებამონაცვლედ;

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ფუნქციები და უფლებამოსილებანი გარდა ამ სამინისტროს სამოქალაქო და სპეციალური პენიტენციური სამსახურის, გენერალური ინსპექციის, ადგილობრივი საბჭოებისა და ფსიქიატრიული კომისიის ფუნქციებისა და უფლებამოსილებებისა, გადაეცემა იუსტიციის სამინისტროს, რომელიც მისთვის გადაცემული უფლებამოსილების ფარგლებში, ჩაითვლება სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს უფლებამონაცვლედ. სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ფუნქციები და უფლებამოსილებანი, ამ სამინისტროს სამოქალაქო და სპეციალური პენიტენციური სამსახურის, გენერალური ინსპექციის, ადგილობრივი საბჭოებისა და ფსიქიატრიული კომისიის ფუნქციებისა და უფლებამოსილებების ნაწილში, გადაეცემა იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შექმნილ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას - სპეციალური პენიტენციურ სამსახურს.

ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ფუნქციები და უფლებამოსილებანი გარდა, დევნილის გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფის სამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაოების მიმართულების; მიგრაციის და საერთაშორისო დაცვის მიმართულების; რეპატრიაციის მიმართულებისა და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ფუნქციები და უფლებამოსილებანი გადაეცემა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით

გადაადგილებულ პირთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, რომელიც ჩაითვლება ამ ორი სამინისტროს უფლებამონაცვლედ. ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ის ფუნქცია, რომელიც ეხება დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფის სამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაოების მიმართულებას, გადაეცემა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, მიგრაციის და საერთაშორისო დაცვის მიმართულება გადაეცემა შინაგან საქმეთა სამინისტროს, ხოლო რეპატრიაციის მიმართულება შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატს;

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ფუნქციები და უფლებამოსილებანი - სივრცითი განვითარების მიმართულებით, გადაეცემა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, რომელიც ჩაითვლება ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს უფლებამონაცვლედ სივრცითი განვითარების მიმართულებით.

ნათია მიქელაძის განმარტებით, კანონპროექტს ახლავს ვრცელი გარდამავალი დებულებები, სადაც დეტალურადაა გაწერილი ყველა ის ღონისძიება, რომელიც საქართველოს მთავრობამ და უწყებებმა ამ კანონის ძალაში შესვლის შემდგომ უნდა განახორციელონ.

მისივე თქმით, კანონის პროექტით მოწესრიგებულია „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე განსაზღვრული შესაბამისი პროგრამული კოდებით გათვალისწინებული ასიგნებების განკარგვის უფლებამოსილების მქონე საბიუჯეტო ორგანიზაციების განსაზღვრასთან დაკავშირებული საკითხები. მისივე განცხადებით, ამ კანონპროექტების ამოქმედების შემდეგ, გაერთიანებულ უწყებებს სამთვიანი ვადა ექნებათ იმისთვის, რომ გეგმაზომიერად განახორციელონ რეორგანიზაცია მათ უფლებამონაცვლე სამინისტროებში. კანონის პროექტით აგრეთვე განსაზღვრულია, რომ შესაბამისმა უწყებებმა სათანადო კანონქვემდებარე აქტების ამ კანონთან შესაბამისობა უზრუნველყონ.]

პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის, თამარ ჩუგოშვილის განცხადებით, საქართველოს მთავრობის შემადგენლობისა და სამთავრობო პროგრამისთვის ნდობის გამოცხადების საკითხს პარლამენტი 15 ივლისს განიხილავს. სხდომაზე III მოსმენით განიხილეს „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონპროექტი, რომელიც პარლამენტის წევრმა და ერთერთმა ინიციატორმა გენადი მარგველაშვილმა წარადგინა. კანონპროექტის თანახმად ახლებურად რეგულირდება მასწავლებლობის მაძიებელთან დაკავშირებული საკითხები. წესრიგდება მასწავლებლის საქმიანობის დაწყება/შეწყვეტასთან, პროფესიულ განვითარებასთან და კარიერულ წინსვლასთან დაკავშირებული საკითხები. გარდა ამისა, პროექტი ითვალისწინებს მასწავლებლის პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამების რეგისტრაციასთან, მასწავლებელთა სერტიფიცირებიდან, მასწავლებლის და სპეციალური მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაზე გადასვლასთან დაკავშირებული საკითხების მოწესრიგებას.

„პოლიციის შესახებ“ და „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონებში ცვლილების შეტანის თაობაზე“ კანონპროექტები I მოსმენით, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ ნათია მეზვრიშვილმა წარადგინა. ცვლილების თანახმად, კანონიდან ხდება იმ დებულების ამოღება, რომელიც ითვალისწინებს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის მიერ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას. ამასთანავე, კანონის გარდამავალ დებულებებში ახლებური რედაქციით ყალიბდება ცენტრის დასახელება და განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილების მიღების ვადა. პროექტის თანახმად, შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში უქმდება უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები. აკადემიაში არსებული სრული მატერიალური და აკადემიური რესურსი მიმართული იქნება პოლიციელთა პროფესიულ მომზადება-გადამზადებაზე. ამასთან, აღსანიშნავია, რომ სამინისტროს აკადემიის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებამდე სრულად გათვალისწინებული იქნება სტუდენტთა კანონიერი უფლებები და ინტერესები.დეპუტატებმა საპარლამენტო უმცირესობაში შემავალი ფრაქციების: „ევროპული საქართველო“, „ევროპული საქართველო-მოძრაობა თავისუფლებისთვის“, „ევროპული საქართველო-რეგიონები“ საკანონმდებლო ინიციატივა საქართველოს ორგანული კანონის პროექტი „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ ცვლილებების შეტანის თაობაზე, I მოსმენით განიხილეს. საკითხი კოლეგებს ზურაბ ჭიაბერაშვილმა წარუდგინა.ორგანული კანონის პროექტი არეგულირებს საარჩევნო სუბიექტის რიგითი ნომრის განსაზღვრასთან დაკავშირებულ საკითხებს. კერძოდ, ორგანული კანონის პროექტში მოწესრიგებულია საპარლამენტო, საპრეზიდენტო და თვითმმართველობის არჩევნებისათვის რიგითი ნომრის განსაზღვრის მიზნით სათანადო პროცედურების ჩატარებასთან დაკავშირებული საკითხები. მომხსენებლის განმარტებით, კანონპროექტის მიღების მიზეზს წარმოადგენს საარჩევნო კოდექსში საარჩევნო სუბიექტისათვის რიგითი ნომრის განსაზღვრის თაობაზე სხვადასხვა რეგულაციების არსებულობა, რეგულაციების გაფანტულობა და ერთმანეთთან შეუსაბამობა. საპარლამენტო, საპრეზიდენტო, თუ თვითმმართველობის არჩევნებისათვის რიგითი ნომრის განსაზღვრის საკითხი ერთმანეთისგან განსხვავებულია პროცედურულად, ვადებში და მიკუთვნების თვალსაზრისითაც.რიგითი ნიმრის განსაზღვრის მარეგულირებელ ნორმებში ცვლილებები შეტანილია სხვადასხვა პერიოდში, რამაც წარმოქმნა ერთმანეთისგან განსხვავებული შინაარსი.იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის, ეკა ბესელიას განცხადებით, კომიტეტის სხდომაზე გამოთქმული იყო შენიშვნა, რომ საარჩევნო სუბიექტისთვის ნომრის მიკუთვნებისას, გარკვეული ფორმულის შემოთავაზება ან ზღვრის დადგენა მოხდებოდა.საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის, ნინო გოგუაძის განცხადებით, პროექტში დასაზუსტებელია პოლიტიკური საარჩევნო ბლოკების საკითხიც.საკითხის ამოწურვის შემდეგ პარლამენტმა დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებს კენჭი უყარა. მათ შორის, პირველი მოსმენით განხილულ საქართველოს ორგანული კანონის პროექტს „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ ცვლილებების შეტანის შესახებ“ და კანონპროექტთა პაკეტს „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

ქვეყნის მმართველობითი სისტემა ახალ ეტაპზე გადადის. ახლებური ხედვა მცირე და ეფექტიანი, მთავრობის კონცეფციას ეფუძნება. სიახლეების მიუხედავად, საქართველოს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთ პრიორიტეტად კვლავ რჩება რეგიონების განვითარება. მათ შორის უთანასწორობის აღმოფხვრა, ადგილობრივ დონეზე ხარისხიანი მომსახურების მიწოდების ეფექტიანი და ინოვაციური სისტემების დანერგვა. ამ საერთო საქმეში, ბუნებრივია, ლომის წილი თავად რეგიონებზე და ადგილობრივი ხელისუფლებების სწორ, მიზანმიმართულ მმართველობაზე მოდის. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო რწმუნებული - გუბერნატორი კახა სამხარაძე, რეგიონული განვითარების პოლიტიკას აანალიზებს და განმარტავს, რომ ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების კოორდინირებული საქმიანობა სწრაფი ეკონომიკური განვითარების საფუძველია.

სამცხე-ჯავახეთის რეგიონი ექვს მუნიციპალიტეტს აერთიანებს: ადიგენი; ასპინძა; ახალციხე; ახალქალაქი; ბორჯომი; ნინოწმინდა. რეგიონის ტურისტულ პოტენციალზე, განხორციელებულ, მიმდინარე და სამომავლოდ დაგეგმილ პროექტებზე, სამცხე-ჯავახეთის რწმუნებული - გუბერნატორი **კახა სამხარაძე** გვესაუბრება.

# ხელისუფლების კურსი ხალხის კეთილდღეობაზეა ორიენტირებული

**- ბატონო კახა, სამცხე-ჯავახეთი გეოგრაფიული მდებარეობით და ისტორიით სპეციფიკური რეგიონია. თქვენ რას გამოარჩევდით და რაზე გააკეთებდით აქცენტს რეგიონის ეკონომიკური განვითარების კონტექსტში?**

- დავიწყოთ იმით, რომ სამცხე-ჯავახეთის მასშტაბები საკმაოდ მოცულობითია რეგიონი ექვსი მუნიციპალიტეტისგან შედგება. ჩვენ ახლა ბორჯომში ვიმყოფებით და უნდა ითქვას, რომ ბორჯომიდან დაწყებული თითქმის ყველა მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალი საკმაოდ მაღალია, რეგიონში მრავლადაა ისტორიული ძეგლები და ღირსშესანიშნაობები. სამცხე-ჯავახეთის გუბერნატორად დანიშვნის შემდეგ მრავალი მნიშვნელოვანი პროექტი დამხვდა განხორციელებული. მხოლოდ 2017 წელს, რეგიონის მასშტაბით, დაახლოებით 43 მილიონამდე ლარის ღირებულების 323 პროექტი განხორციელდა. ასევე, 2018-ი წლისათვის გაწერილია არაერთი უმნიშვნელოვანესი ღონისძიება, რომელიც მიმართული იქნება სოციალური და ეკონომიკური განვითარებისკენ. აღნიშნული პროექტები, ძირითადად, მოსახლეობის პირველადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზეა ორიენტირებული. ეს არის სავალი, საავტომობილო გზების რეაბილიტაცია, სასმელი წყლით უზრუნველყოფა. სახელმწიფოს ერთ-ერთი პრიორიტეტია, რომ სასმელი წყლის პრობლემა მოგვარდეს ყველა დასახლებულ პუნქტში. პროექტები დაგეგმილია და ხორციელდება გაზიფიცირების მიმართულებითაც. სამცხე-ჯავახეთში ბუნებრივი აირის გარეშე კიდევ რამდენიმე სოფელია დარჩენილი, თუმცა სამუშაოები ეტაპობრივად, მაღალი ტემპებით მიმდინარეობს. ჩვენი ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა შევინარჩუნოთ და დავიცვათ რეგიონისთვის დამახასიათებელი სიმდიდრე, ტყის საფარი. ამისათვის, აუცილებელია, რაც შეიძლება სწრაფად მოხდეს რეგიონის სრული გაზიფიცირება. ასევე, ყველამ ერთად უნდა ვიზრუნოთ მოსახლეობაში და განსაკუთრებით ახალგაზრდებში, გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებაზე.

**- მუნიციპალიტეტებში არსებული მდგომარეობის შესწავლის მიზნით ხშირად მოგზაურობთ რეგიონში და როგორც ვიცით საზოგადოების ჩართულობით სამცხე-ჯავახეთის განვითარების სტრატეგიაზეც მუშაობთ. უფრო დეტალურად რომ გვითხრათ რას გულისხმობს ეს იდეა?**

- სამხარეო ადმინისტრაცია უნივერსიტეტის სტუდენტებთან ერთად, პროფესორ-მასწავლებლების, ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობით მუშაობს რეგიონში არსებული პოტენციალის სრულ გამოვლენაზე. ვაკეთებთ რეგიონის განვითარების იმ სტრატეგიას, რომელიც ერთობლივი პროექტების განსახორციელებლად წაადგება ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას. ჩვენი მიზანია

მაქსიმალურად მოკლე დროში იყოს გამოყენებული ეს პოტენციალი და რაც ყველაზე მთავარია - მოსახლეობას გაუჩნდეს მეტი შემოსავალი, რათა მათი ეკონომიკური მდგომარეობა გაუმჯობესდეს. ექსპედიციის ფარგლებში ჩვენ უკვე ვიმყოფებოდით ახალციხის, ადიგენისა და ასპინძის მუნიციპალიტეტებში. აღსანიშნავია ის, რომ, ჩვენ გვიწევს საველე პირობებში ცხოვრება, რათა საკუთარი თვალით დავინახოთ ყველაფერი, უფრო მეტი შთაბეჭდილებით წამოვიდეთ და უფრო მეტად გავითვალისწინოთ ის გასაკეთებელი საქმე, რაც რეგიონის განვითარებას შეუწყობს ხელს. ხშირად ღამით კარვებში ვრჩებით, რათა ზუსტად გავიგოთ ყველა დეტალი კონკრეტული ლოკაციების შესახებ, საველე პირობებში მოვახდინოთ ადგილობრივი ტურისტული პოტენციალის შესწავლა. ასევე ვეცნობით და აღვნუსხავთ ისტორიულ - კულტურულ ძეგლებს, ვახორციელებთ დასუფთავების აქციებს, სპორტულ აქტივობებს. თავისთავად, სტუდენტების ჩართულობით, ვხვდებით მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელებს და ადგილობრივ მოსახლეობასთან შეხვედრები იმართება, ვითვალისწინებთ და ვინიშნავთ მათ პრობლემებსა და რეკომენდაციებს.

**- ბატონო კახა, ძირითადად რა ტიპის პრობლემებზე ამახვილებს ყურადღებას ადგილობრივი მოსახლეობა?**

- ძირითადად ეს არის ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული საკითხები, რომლის მოწესრიგებასაც რეგიონში ეტაპობრივად ვახორციელებთ. პრობლემებს კი არ უნდა გავექცეთ, პირიქით, საჭიროა შეძლებისდაგვარად მათი გადაჭრის გზები მოვნახოთ. ყველაზე მნიშვნელოვანია, როდესაც მოსახლეობაა თავად ჩართული ამ პროცესებში და ადგილობრივი ინიციატივებისა და ჩართულობის საფუძველზე ცდილობს სასიკოთო ცვლილებების შეტანას ამა სოფლისა თუ ქალაქის ცხოვრებაში. ვფიქრობ, რომ სწორი განვითარების გზით მივდივართ, უამრავი პროექტი განხორციელდა და სამომავლოდაც ბევრია დაგეგმილი. აღსანიშნავია, რომ არსებული ხელისუფლების კურსი მოსახლეობის კეთილდღეობაზეა ორიენტირებული.

**- თუ შეიძლება გვითხარით, კონკრეტულად რა ინფრასტრუქტურული პროექტები ხორციელდება ამ ეტაპზე სამცხე - ჯავახეთის რეგიონში?**

- მუნიციპალური და რეგიონული განვითარების ფონდებიდან საკმაოდ ბევრი პროექტი ხორციელდება. მნიშვნელოვანი პროექტებია: გოდერძის უღელტეხილის გზა, რომელიც სამცხე-ჯავახეთს და აჭარას ერთმანეთთან დააკავშირებს; იმერეთთან დამაკავშირებელი ზეკარის გზა; ასპინძაში, ვარძიაზე გამავალი მირაშხანის გზა; ბორჯომის შიდა გზების რეაბილიტაცია; ადიგენში ლელოვანი-ამხირი-თრიალას გზა. აქვე გამოვყოფდი ტურისტული თვალსაზრისით უნიკალურ ადგილს თრიალას ტბას. როდესაც ინფრასტრუქტურულ პროექტებზე ვსაუბრობთ, არ შეიძლება ხაზი არ გაესვას სასტუმროების განვითარების კომპონენტს. ყოველწლიურად ტურისტების მატებასთან ერთად სასტუმროებზე ჩნდება მოთხოვნა. ამჟამად, აბასთუმანში, 160 ნომერზე გათვლილი სასტუმროს მშენებლობა მიმდინარეობს. იგეგმება ობსერვატორიის რეაბილიტაცია, რომელიც ტურისტული თვალსაზრისით არაჩვეულებრივი ადგილი იქნება. „ინვესტირების ფონდის“ მიერ უდიდესი პროექტები ხორციელდება აწყურში. მიმდინარეობს აწყურის საკათედრო ტაძრის და ციხის რეაბილიტაცია. იგეგმება მისასვლელი საავტომობილო გზის მოწყობა. გვარდება სასმელი წყლის პრობლემა. აწყური ტურისტული თვალსაზრისით კარგი, მშვენიერი ზონაა. განხორციელდა კულტურის სახლის რეაბილიტაცია, აშენდა მომსახურების სერვის-ცენტრი. იგეგმება მოედნისა და სკვერის რეაბილიტაცია. ჩვენ აქტიურად ვმუშაობთ რეგიონის კომპლექსურ განვითარებაზე.

საქართველოს უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ კიდევ ერთხელ გამოუცხადა ნდობა სამთავრობო პროგრამას, რომლითაც მოსახლეობა და მასზე ზრუნვა კვლავაც მთავარი ღირებულებაა. ამიტომ, ამ პროგრამის შესაბამისად, ყველა ძალისხმევა თუ ინიციატივა ორიენტირებული იქნება თითოეულ მათგანზე, მათთვის თავისუფლებისა და ღირსების დაცვაზე, საკუთარ ქვეყანაში კეთილდღეობისა და თვითრეალიზაციის ფართო შესაძლებლობების მიცემაზე. ამასთან, მიზნის მისაღწევად ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია, ბოლო ათწლეულების განმავლობაში რეგიონებს შორის მნიშვნელოვნად გაღრმავებული ცხოვრების განსხვავებული დონის ამაღლება. ბოლო წლებში არჩეული სტრატეგიის შესაბამისად, სწორად შერჩეულ სფეროებზე მიმართულმა სახსრების ზრდამ შესაძლებელი გახადა ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარება, რაც მუნიციპალიტეტების ეკონომიკური გაჯანსაღების მნიშვნელოვანი წინაპირობაა. ამით, თავის მხრივ, უზრუნველყოფილი იქნება ადგილზე მცხოვრები მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე 2018 წელსაც მუნიციპალიტეტების სტრატეგია უცვლელია. მათ შორისაა ასპინძა, რომლის ძირითადი მიმართულებებია ტურიზმის განვითარება, ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვა, მოსახლეობის სოციალური დაცვა და სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა. სამთავრობო პროგრამის, მოსახლეობის კეთილდღეობაზე ორიენტირებული მიდგომების მნიშვნელობა კარგად ესმის ასპინძის მუნიციპალიტეტის არჩეულ მერს **როსტომ მაგრაქველიძეს,** რომელიც მიიჩნევს, რომ მისი კუთხის ბუნებრივი თვითმყოფადობა და მიზანმიმართული სტრატეგიული განვითარება უახლოეს ხანში კეთილდღეობის საწინდარი გახდება.

# ასპინძა ქვეყნის განვითარების მხრივ სახელმწიფოს მიერ აღებულ კურსს გააგრძელებს

**- ბატონო როსტომ, რა პროექტები ხორციელდება ასპინძის მუნიციპალიტეტში?**

- ჩვენი მუნიციპალიტეტი გეოგრაფიული და ტურისტული მდებარეობის თვალსაზრისით მეტად სტრატეგიული კუთხეა, რომელშიც გადის ორი ქვეყნის დამაკავშირებელი საერთაშორისო მნიშვნელობის საავტომობილო გზა, სომხეთის და თურქეთის მიმართულებით. ეს მხარე დატვირთულია, ასევე ისტორიული ძეგლებითა და ეკლესია მონასტრებით. შესაბამისად, აქ ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება კიდევ უფრო მნიშვნელოვანია. რეგიონული განვითარებისა და მთის ფონდების დახმარებით, ადგილობრივი ბიუჯეტის თანხებით კარგი, სწორად შერჩეული პროექტების რეალიზება დავიწყეთ. მათ შორისაა ვარძიის სამონასტრო კომპლექსი, რომლის პირველი ნაწილის რეაბილიტაცია უკვე დასრულებულია, ნაწილი კი ამჟამადაც მიმდინარეობს. რეაბილიტაციის ფარგლებში, ვარძიასთან ახლოს, ე.წ. ვანის ქვაბების მიმდებარედ თანამედროვე სტანდარტების ვიზიტორთა ცენტრი შენდება. სამ ლოკაზიაზე ეწყობა პარკინგი - ორი საპარკინგე ადგილი მსუბუქ ავტომობილებზე, ერთი კი ავტობუსებზეა გათვლილი. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ამ ტერიტორიაზე არ იყო სასმელი წყალი, რის გამოც მოეწყო 226 მეტრი სიღრმის ჭაბურღილი, რამაც წყლის მიწოდება გაანაპირობა. ეს თავის მხრივ, ხელს შეუწყობს, როგორც ვანის ქვაბების ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას, ასევე, უკვე გაკეთებული პროექტების მუშაობას. მუნიციპალური განვითარების ფონდისა და რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დახმარებით დასრულდა ხერთვისის ციხის კომპლექსთან ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობის ძირითადი ნაწილიც. პროექტის მიხედვით, სრულად რეაბილიტირდა ადმინისტრაციული შენობა, მოეწყო თანამედროვე ვიზიტორთა ცენტრი, ციხეზე ასასვლელ გზაზე დაიგო ქვაფენილი, აღდგა კარიბჭე, მოეწყო წყალმომარაგების სისტემა, პარკინგი, მოსაცდელი . ინფრასტრუქტურა შეზღუდული შესაძლებლობების პირებისთვის სრულად ადაპტირებულია. გარდა იმისა, რომ ობიექტი ტურისტულად მიმზიდველი გახდა, განახლებული ინფრასტრუქტურა რეგიონს საშუალებას მისცემს, შემოსავლების გენერირება მოახდინოს. აქვე აღვნიშნავ, რომ ამჟამად, სამცხე - ჯავახეთში მიმდინარეობს ჰიდროელექტროსადგურის, „მტკვარჰესის“ მშენებლობა, რომლის საინვესტიციო ღირებულება 130 მილიონი დოლარია. ჰესი გეგმის მიხედვით 2019 წელს ამუშავდება. სამშენებლო სამუშაოებში 300-მდე ადგილობრივი მოსახლეა დასაქმებული. ყურადღება მისაქცევია ასევე სამელიორაციო - საირიგაციო სამუშაოები, რომელიც რაიონში წარმატებით მიმდინარეობს და რწყვის სეზონისათვის სრული დატვირთვით იმუშავებს, კაპიტალურად შეკეთდა არხები, გამართულია ორი ელექტრო სატუმბი სადგური სოფელ რუსთავსა და ასპინძაში, შეძენილია და დამონტაჟებულია დამატებით ერთი ელექტრო ძრავი, რომელიც კონკრეტულად სოფელ ივერიას მოემსახურება და გაასარწყავიანებს სოფლის მთელ ტერიტორიას, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ამ სოფლის მოსახლეობას სასოფლო სამეურნეო საქმიანობის განხორციელებაში.

**- რაც შეეხება უშუალოდ დაბისა და სოფლების გზების რეაბილიტაციას...**

- სოფელ ვარძიიდან სოფელ მირაშხანში მისასვლელი გზა კეთდება, რომლის ღირებულებაც შეადგენს 960 000 ლარს. სარეაბილიტაციო სამუშაოებს ასრულებს ტენდერში გამარჯვებული ორი კომპანია. ერთმა კომპანიამ 3 კმ-იანი ასფალტო-ბეტონის გზის დაგება უკვე დაასრულა. ასევე დასრულდა სოფელ მირაშხანის ხიდის რეაბილიტაცია და ასევე, სოფლის ტერიტორიაზე სანიაღვრე არხების მშენებლობა. აღნიშნულ პროექტის ფარგლებში აქტიურად აგრძელებს მუშაობას მეორე კომპანიაც, რომელიც 3,3 კმ -ზე ასფალტო-ბეტონის გზის დაგებას უზრუნველყოფს. ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერითა და დაფინანსებით განხორციელდა შიდა

გზების ორმოული შეკეთება- მოხრეშვა შემდეგ სოფლებში: ოშორა, დამალა, თმოგვი, ნაქალაქევი, ძველი, ჭობარეთი, აწყვიტა, იდუმალა. ასევე მოწესრიგდა საზაფხულო მთის საძოვრებზე მისასვლელი გზა ინდუსისა და კოდიანის მიმართულებით. ვიწყებთ სოფელ ჭობარეთიდან სოფელ მუსხამდე-ასპინძის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრამდე, მისასვლელი გზის მოასფალტება. ტენდერის სახელშეკრულებო ღირებულება 830 467 ლარს შეადგენს. აქტიურად მიმდინარეობს სოფელ თოკისა და ვარგავის მისასვლელ გზაზე ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები. პროექტის ფარგლებში მოეწყობა 2,5 კმ რბეტონის გზა. სამშენებლო სამუშაოების ღირებულება 789 000 ლარს შეადგენს. კეთდება სოფელ ოთის მისასვლელი გზა, რომლის დაგებისთვის 734 577 ლარია განსაზღვრული. პროექტის ფარგლებში მოეწყობა 3,6 კმ რკინა-ბეტონის გზა. აღნიშნული გზით სოფელი დაბას დაუკავშირდება. დაბა ასპინძაში აქტიურად მიმდინარეობს შიდა ქუჩების რეაბილიტაცია: ჭავჭავაძის I და II ჩიხების, ტაბიძის, მარჯანიშვილისა და გოგებაშვილის ქუჩების სარეაბილიტაციო მოასფალტების სამუშაოები, რომლის საერთო სიგრძე 1820 მეტრია და სახელშეკრულებო თანხა 434 996 ლარს შეადგენს. ამასთანავე, გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია გოგებაშვილის ქუჩაზე ახალი წყალსადენი სისტემის რეაბილიტაციასაც ახორციელებს, რაც მნიშვნელოვნად მოაწესრიგებს მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველყოფის პრობლემას. ასფალტო-ბეტონის საფარი 1, 525 მეტრი სიგრძის გზაზე დაიგება დაბა ასპინძაში ვაჟა ფშაველას, ყაზბეგის, დედაენის და ერეკლე II-ის ქუჩებზე, რომლის სახელშეკრულებო ღირებულებაა 505 737 ლარი, აღნიშნული სამუშაოები გეგმა - გრაფიკით მიმდინარეობს და განსაზღვრულ ვადებში დასრულდება.

**- კონკრეტულად, რა პროექტი ხორციელდება რეგიონში მთის განვითარების ფონდის მიერ?**

- ძალიან კარგი და მნიშვნელოვანია მთის განვითარების ფონდის მუშაობა და საერთოდ, მთის შესახებ მიღებული კანონი, ვინაიდან, როგორც მაღალმთიანი რეგიონი, ამითაც დიდ დახმარებას ვიღებთ. გამოვყოფ ჩვენს მუნიციპალიტეტში მიმდინარე ერთ-ერთ უდიდეს პროექტს - ე.წ. ჭობარეთი - მუსხის დამაკავშირებელი 4 კილომეტრიან საგზაო მონაკვეთის მშენებლობა - რეაბილიტაციას. აღნიშნული გზა წარმოადგენს ალტერნატიულ დამაკავშირებელ გზას ასპინძისა და ახალციხის მუნიციპალიტეტებს შორის, ასევე მაღალმთიანი სოფლები იოლად დაუკავშირდებიან ასპინძასა და ახალციხეს. აღნიშნულ გზას თავის მხრივ გააგრძელებს და უკვე რეაბილიტირებულ გზას დაუერთებს ახალციხის მუნიციპალიტეტი, რაც სამუდამოდ დაასრულებს ორი რაიონის დამაკავშირებელი გზის სამშენებლო სამუშაოებს. უკვე გამოვლენილი გვყავს ტენდერში გამარჯვებული კომპანია, რომელიც უშუალოდ შეასრულებს გზის სამშენებლო სამუშაოებს. ეს იქნება ერთ-ერთი ალტერნატიული გზა, რომელიც საჭიროების შემთხვევაში დააკავშირებს არა მხოლოდ სამცხე - ჯავახეთის მუნიციპალიტეტებს, არამედ ჩვენს მეზობელ სახელმწიფოებს - სომხეთს და თურქეთს, რაც თავის მხრივ ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ - ეკონომიკურ მდგომარეობას გააუმჯობესებს.

**- ძირითადად, რა პრობლემებია მუნიციპალიტეტში?**

- სადაც ადამიანი ცხოვრობს, სადაც ცოცხალი პროცესი მიმდინარეობს, იქ ბევრ სიკეთესთან ერთად პრობლემებიც არის. ჩვენი მუნიციპალიტეტი მაღალმთიანია და შესაბამისად, შესაძლებელია მთებში მისასვლელი გზების რეაბილიტაციაზე ფიქრი, რაც თავის მხრივ, ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობის წარმოების გაზრდას. ასევე, ნომერ პირველ პრობლემად შეიძლება ჩაითვალოს მუნიციპალიტეტის სრული გაზიფიცირება. ამჟამად, მხოლოდ დაბა და სამი სოფელია გაზიფიცირებული, თუმცა არსებობს სრული რესურსი, რომ ბუნებრივი აირით ყველა სოფელი მომარაგდეს. მოსახლეობის ძირითადი თხოვნაც სწორედ გაზიფიცირებაა, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს მოსახლეობის ყოფით პრობლემებს, ასევე გააორმაგებს ტურისტების შემოდინებას, საოჯახო, კერძო ტიპის სასტუმროების დიდი რაოდენობის გახსნას. ასპინძის მუნიციპალიტეტში ოდითგანვე იყო სასმელი წყლის პრობლემა. ეს პრობლემა, ბოლო წლების მუშაობის შედეგად, დაბაში ნამდვილად აღარ არის, თუმცა კარგი იქნება თუკი ცენტრალური ხელისუფლების დახმარებით აშენდება თანამედროვე ტიპის საფილტრე ნაგებობები, რაც უზრუნველყოფს მოსახლეობის სუფთა წყლით მომარაგებას.

**- ასპინძა სპორტისა და კულტურის მიმართულებით საკმაოდ წარმატებულია. ბოლო დროინდელი გამარჯვებებიდან რომელს დაასახელებდით...**

- რამდენიმე დღის წინ თბილისში გაიმართა ,,საქართველოს სასკოლო ოლიმპიადა 2018''-ის ფინალური თამაშები გეზრბენში, სადაც მონაწილეობას იღებდა ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ტოლოშის საჯარო სკოლის გოგონათა გუნდი. დასკვნით შეჯიბრში, სოფელ ტოლოშის გუნდს დასავლეთ საქართველოს ჩემპიონი ვანის 2 საჯარო სკოლის გოგონათა გუნდი დაუპირისპირდა. ჩვენმა გუნდმა წარმატებით იასპარეზა და საქართველოს ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. ასევე წარმატებით ასპარეზობს სამცხე-ჯავახეთის რეგიონული გუნდი რაგბში - „ტაო", რომელიც ქვეყნის პირველ ლიგაში გადავიდა. გვყავს, ძიუდოში საუკეთესო ჯგუფი, რომელსაც ქვეყნის მასშტაბით არაერთი გამარჯვება მოაქვს. გარკვეული წარმატებები გვაქვს ფეხბურთსა და მშვილდოსნობაში. რაც შეეხება კულტურას, გვაქვს სახელოვნებო ა(ა)იპ-ი, რომელშიც გაერთიანებულები არიან ,,თავისუფალი თეატრი"; ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლი ,,სამცხე"და ქართული ხალხური ანსამბლი ,,ნუნდა". ისინი ცდილობენ აღმოაჩინიონ ნიჭიერი ახალგაზრდები და მოახდინონ მათი პოპულარიზაცია. ცდილობენ შეინარჩუნონ ჩვენი რეგიონისათვის დამახასიათებელი, ტრადიციული, ძირძველი ნაწარმოებები. პროგრამის ფარგლებში ანსამბლები მონაწილეობენ ადგილობრივ და საერთშორისო ფესტივალებში, გეგმავენ და ატარებენ სხვადასხვა გასართობ და სანახაობრივ კულტურულ ღონისძიებებს მოსახლეობისთვის.

**- რა არის თქვენი სამომავლო პრიორიტეტები და გეგმები?**

- სამომავლოდ გეგმები ნამდვილად ბევრი გვაქვს, ვაპირებთ ქვეყნის განვითარების მხრივ სახელმწიფოს მიერ აღებული კურსი გავაგრძელოთ. გვაქვს 2018-2021 წლების სამოქმედო გეგმა, რომლის მიხედვითაც ამ ოთხი წლის განმავლობაში, სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის, ინფრასტრუქტურისა და კულტურის თვალსაზრისით უამრავი პროექტი განხორციელდება. სიახლეა და ინოვაცია ის ფაქტი, რომ შევქმენით მრჩეველთა 12 კაციანი ჯგუფი, რომელიც პრიორიტეტების დასახვაში გვეხმარება. ვაცნობთ მიღებულ გადაწყვეტილებებს და შეგვაქვს მათ მიერ გამოთქმული შენიშვნები. ამ პროცესებში ჩართულია მოსახლეობა და ჩვენ მათ წინადადებებს ვისმენთ. ბოლოს მსურს აღვნიშნო, რომ იყო მუნიციპალიტეტის მერი, ეს საკმაოდ მძიმე და საპატიო ტვირთია. ამ ტვირთის გაზიარებისთვის, ნდობის გამოცხადებისთვის, გვერდში დგომისთვის, ერთად შრომისთვის მადლობა მინდა გადავუხადო ცენტრალურ ხელისუფლებას, ჩემს გუნდს, მერიისა და საკრებულოს თანამშრომლებს, ყველა ასპინძელს და იმ ადამიანს ვისაც თავისი წვლილი შეაქვს ჩვენი ქვეყნის აღმშენებლობაში.

საქართველოს მთავრობისათვის მნიშვნელოვან პრიორიტეტად კვლავ, რეგიონების ინფრასტრუქტურული განვითარება და ტურიზმის სფერო რჩება. ადიგენის მუნიციპალიტეტს წლების მანძილზე სათანადო ყურადღება არ ექცეოდა. თუმცა 2014 წლიდან ბევრი რამ შეიცვალა. თავისუფალი ეკონომიკის კურსი, თავის მხრივ, უზრუნველყოფს პერიფერიების სწრაფ ეკონომიკურ ზრდას, რაც მოქალაქეებს, მეწარმეებსა და ინვესტორებს შესაძლებლობას მისცემს გამოიყენონ ის ტერიტორიები, რომლებიც ტურისტული განვითარებისთვის მეტად მნიშვნელოვანი იქნება. წლების განმავლობაში ყველაზე მწვავე პრობლემა იყო ამორტიზებული ცენტრალური და შიდა გზები. ამ ეტაპზე აქტიურად განიხილება სამომავლო გეგმები ჯანდაცვის კუთხით, სხვადასხვა სოციალური და ტურისტული მიმართულებით. ადიგენის მუნიციპალიტეტის ობიექტები მსოფლიო ტურიზმის საერთო რუკაშია შესული, რაც რეგიონისთვის დიდი ეკონომიკური წარმატება იქნება. ადიგენის მუნიციპალიტეტის მერი, ბატონი **ზაქარია ენდელაძე** მიმდინარე საკითხებზე და სამომავლო გეგმებზე გვესაუბრა.

# ტურისტული კომპლექსების განვითარება, ჩვენი რეგიონის უმთავრესი მიზანი იქნება

**- ბატონო ზაქარია, რა სიახლეებია თქვენს მუნიციპალიტეტში?**

- მოგეხსენებათ, რომ 2014 წელს, როდესაც მოსახლეობამ პირველად ნდობა გამომიცხადა და ადიგენის მუნიციპალიტეტის გამგებლად ამირჩია, ადიგენში ჩამოშლილი სისტემა დამხვდა. თუმცა ამ წლების განმავლობაში მოხერხდა ცენტრალური და შიდა სასოფლო გზების დაგება. აშენდა 44 ახალი ხიდი, მოპირკეთდა კორპუსები. აქტიურად მიმდინარეობს ადიგენის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრის სრული აღდგენა. მუნიციპალიტეტში არ არსებობდა დასუფთავების, წყალმომარაგების სამსახურები, დღეის მდგომარეობით შემიძლია განვაცხადო, რომ ჩვენ ეს სამსახურები შევქმენით და ადგილობრივი მოსახლეობა დავასაქმეთ. ასევე მოხდა 22 სოფლის გაზიფიცირება, აქედან 2 სოფელი უკვე ჩართულია ქსელში. მუნიციპალიტეტში გაკეთდა განათების რამოდენიმე კილომეტრიანი ხაზი და 57 სოფლიდან მხოლოდ 7 სოფელი დარჩა გასანათებელი, ეს პროცესიც 2 წელიწადში დასრულდება. დაწყებულია საბავშვო ბაღების და სკოლის მშენებლობები. ამასთანავე რეგიონისათვის მნიშვნელოვანი გეგმებია ტურიზმის სფეროშიც.



**- ტურიზმის განვითარების მხრივ რა პროექტების გატარებას გეგმავთ?**

- როგორც იცით, ჩვენი რეგიონი ტურიზმის მხრივ მეტად აქტიური ადგილია. სწორედ ამიტომ, დაგეგმილია უამრავი სასტუმროს თუ კვების ობიექტების მშენებლობა. უმთავრესი ისაა, რომ უკვე დაწყებულია აბასთუმანის რეაბილიტაცია, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის ტურისტების ნაკადს რეგიონში. ბოლო წლების მონაცემებით შეინიშნება ტურისტების მატება, წინასწარი დაჯავშნის გარეშე, უკვე შეუძლებელია თავისუფალი ადგილის ნახვა ივლისი - აგვისტოს თვეში. აბასთუმანში ინვესტორების მიერ, რამოდენიმე სერიოზული შემოთავაზებაა, მათ შორის 70 მილიონად შეფასებული 5 ვარსკვლავიანი სასტუმროს მშენებლობაა. ფაქტიურად ასეთი ობიექტი

მთლიანად ადგილობრივ მოსახლეობას დაასაქმებს. ასევე, იგეგმება ზეკარისა და გოდერძის უღელტეხილის საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა, რასაც ვფიქრობთ დიდი დატვირთვა ექნება არა მარტო ჩვენი რეგიონისთვის, არამედ აჭარისთვისაც. ეს პროექტი მეტად მნიშვნელოვანი იქნება ეკონომიკური ზრდისთვის.

**- მოქალაქეთა ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობის კუთხით რა სიახლეებია?**

- როგორც მოგახსენეთ აქტიურად მიმდინარეობს აბასთუმანში სკვერების რეაბილიტაცია, გვაქვს ძალიან კარგი პარკი ადიგენის ცენტრში. დაბაში არის ცენტრალური სტადიონი, რომელიც რეაბილიტაციას საჭიროებს და ამ პროექტზე გვაქვს შემოთავაზება კულტურისა და სპორტის სამინისტროდან, მათი დახმარებით სამომავლოდ სტადიონის განახლება იგეგმება. ასევე ვფიქრობთ მინი მოედნების გაკეთებას სხვადასხვა სოფლებში. მთლიანობაში ადიგენის მუნიციპალიტეტში საკმაოდ კარგი სტარტი გვაქვს წამოწყებული.

**- კულტურულ სიახლეებზე რას იტყოდით ?**

- ჩვენ უნიკალური ისტორიული ძეგლები გვაქვს, ზოგი 5-6 საუკუნის სამონასტრო კომპლექსია და ცხადია მიხედვას საჭიროებს, სწორედ ამიტომ რამდენიმე ისტორიული ძეგლის რეკონსტრუქცია და განახლებაა დაგეგმილი. ადიგენის მუნიციპალიტეტში დავაფუძნეთ სახალხო დღესასწაული ანთიმოზობა, რომელიც 26 ივნისს წარმატებით აღინიშნა. მუნიციპალიტეტი აქტიურად მონაწილეობს სახელწმიფო დონის კულტურულ ღონისძიებებში. სამწუხაროდ, ამჟამად ადიგენის კულტურის სახლი ცუდ მდგომარეობაშია და ვიმედოვნებთ, რომ უახლოეს მომავალში მუნიციპალური განვითარების ფონდის დახმარებით ცენტრის სრული რეაბილიტაცია განხორციელდება.

**- ბატონო ზაქარია, სამომავლო გეგმებზე რას გვეტყოდით...**

- სამომავლოდ დაგეგმილია საგზაო ინფრასტრუქტურის 100 % ასფალტირება ყველა სოფელში. სოფელ მოხეში, მიმდინარეობს მეოთხე საბავშვო ბაღის მშენებლობა, სადაც 95% ჩვენი მუსლიმი თემი ცხოვრობს. ასევე რამოდენიმე სკოლას სარემონტო სამუშაოები ჩაუტარდება. გეგმაში გვაქვს ახალი სკოლის აშენება, ტურისტული კომპლექსების განვითარება, რაც ჩვენი რეგიონის უმთავრესი მიზანი იქნება. ამჟამად ადიგენში იუსტიციის სახლის მშენებლობა მიმდინარეობს. ასევე რეგიონისთვის მეტად მნიშვნელოვანი იქნება გადაუდებელი დახმარების ცენტრი, შენობის ასაშენებლად, მიწა უკვე გამოყოფილია და გადაცემული. 2021 წლამდე თითქმის ყველა პროექტი უკვე გაწერილია და სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს.

# ტურიზმის ყოველწლიური ზრდა იმის მანიშნებელია, რომ ქვეყანა სწორი მიმართულებით ვითარდება

ხელისუფლების პოლიტიკის შესაბამისად, ქვეყნის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება რეგიონებისა და ეკონომიკური განვითარების სტიმულირების უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა. ამასთან ერთად, იგი ხელს უწყობს ტურისტული თვალსაზრისით საქართველო კიდევ უფრო მიმზიდველი გახდეს, ვინაიდან აღნიშნული სფერო ქვეყნის ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვანი მამოძრავებელი ძალაა. აღსანიშნავია, რომ ვიზიტორების ნაკადი და ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები ყოველწლიურად მზარდია. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება ბუნებრივი რესურსების მართვის სისტემის გაუმჯობესებაა, რაც თავის მხრივ, ქვეყანას შესაძლებლობას მისცემს მნიშვნელოვანი ეკონომიკური სარგებელი მიიღოს. ყველა რესურსი მაქსიმალურად იყოს გამოყენებული და მოხდეს გარემოს დაცვით პრინციპებზე დაყრდნობით მდგრადი მართვა. კულტურულ-ისტორიული ძეგლებით, ბუნებრივი რესურსებით სამცხე-ჯავახეთის რეგიონი და მათ შორის ახალციხის მუნიციპალიტეტი ერთ-ერთი გამორჩეულია. საკანონმდებლო ცვლილებებით, შვიდ თვითმმართველ ქალაქს აღნიშნული სტატუსი ჩამოერთვა და ისინი შესაბამის მუნიციპალიტეტებს მიუერთდა. მათ შორისაა ახალციხეც, რომელიც 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ ორად იყო გაყოფილი-ქალაქის მერიად და გამგეობად. ამჟამად, ახალციხის მუნიციპალიტეტს არჩეული მერი, **ზაზა მელიქიძე** ხელმძღვანელობს. მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, სხვადასხვა აქტივობებსა და სამომავლო გეგმებზე თავად ბატონი ზაზა გვესაუბრა...

**- 2014 წლიდან 2017-დე თქვენ მუნიციპალიტეტის გამგებელი იყავით. რა მდგომარეობა დაგხვდათ იმ პერიოდისთვის და როგორ მოხვედით დღემდე?**

- განხორციელებულ რეფორმებს ორივე შემთხვევაში თავისი დადებითი მხარე ჰქონდა. კერძოდ, 2014 წელს, გაყოფამდე ბიუჯეტი 11 მილიონ ლარამდე იყო განსაზღვრული. დღეის მდგომარეობით კი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი დაახლოებით 24 მილიონი ლარია. გაყოფის შედეგად სოფლებში სერიოზული ინფრასტრუქტურული პროექტები განხორციელდა და მათ განვითარების საშუალება მიეცათ. ამასთან, გამგეობამ და მერიამ საკუთარი ბიუჯეტების გაზრდაზე იზრუნა, რაც მნიშვნელოვნად მიეხმარა, როგორც ქალაქის, ისე სოფლის თემის გაძლიერებას. 2017 წელს, არჩევნების შემდეგ, მოხდა მუნიციპალიტეტების გაერთიანება. ვფიქრობ, რომ ეს ნამდვილად სწორი გადაწყვეტილება იყო იმდენად, რამდენადაც, უკვე გაზრდილია ბიუჯეტი. საკმაოდ ბევრია გაკეთებული და ამ ეტაპზე შესაძლებელია ერთად განხორციელდეს პროექტები. გაერთიანების შემდეგ, უფრო მეტი საშუალებაა ყველამ ერთად ვაშენოთ ჩვენი მუნიციპალიტეტი, წარმატებით შევასრულოთ ნაკისრი ვალდებულება ჩვენი მოსახლეობის წინაშე.

**- მიმდინარე წელს რა პროექტები ხორციელდება და რა არის დაგეგმილი ინფრასტრუქტურის კუთხით?**

- ამჟამად, 11 მსხვილი პროექტი ხორციელდება. გრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება. ამდროისათვის, სამშენებლო სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს ახალციხე-ჭვინთა-ელიაწმინდის საავტომობილო გზაზე (მესამე ეტაპი), სადაც 3,100 კილომეტრიან მონაკვეთზე ასფალტო-ბეტონის საფარი იგება. სამუშაოები რეგიონული პროექტების ფონდიდან და ადგილობრივი ბიუჯეტიდან 864 781 ათასი ლარით ფინანსდება. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული პროექტით სრულდება გზის 8 კილომეტრიანი მონაკვეთის მშენებლობა. ჭვინთისა და ელიაწმინდის მაცხოვრებლები ადმინისტრაციულ ცენტრს უკვე ასფალტირებული გზით დაუკავშირდებიან. იგება სოფელ ფერსის შიდა საავტომობილო გზაზე ასფალტო - ბეტონის საფარი. აქტიურ რეჟიმში მიმდინარეობს სოფელ მინაძეში შიდა გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები, გზაზე ბეტონის საფარი ეწყობა. ასფალტო - ბეტონის საფარი მოეწყო სოფელ საძელის საავტომობილო გზაზეც. აღნიშნული პროექტის განხორციელებით სრულდება გზის 3600 მეტრიანი მონაკვეთის მშენებლობა, რის შემდეგაც საძელის მოსახლეობა ადმინისტრაციულ ცენტრს ასფალტირებული გზით დაუკავშირდება. ამ ეტაპზე, ახალციხის მუნიციპალიტეტში 9 საგზაო ინფრასტრუქტურული პროექტი მიმდინარეობს. ჯამში 18,050 კილომეტრის გზა მოწესრიგდება. აღსანიშნავია, რომ 2014 წლიდან დღემდე 100 კილომეტრზე მეტი გზა მოწესრიგდა. გარდა ამისა, საგზაო ინფრასტრუქტურის მოსაწესრიგებლად მუნიციპალიტეტში მზადდება პროექტები და სატენდერო წინადადებები. ამასთან, ქალაქ ახალციხეში საცხოვრე-

ბელი კორპუსების ეზოების, ვალეში კი საფეხმავლო ბილიკებისა და ტროტუარების მოწყობა აქტიურად მიმდინარეობს. აღსანიშნავია, რომ ქუჩებზე ტროტუარები ამ დრომდე არ იყო, ადგილობრივებს კი სიარული გზის სავალ ნაწილზე უწევდათ. მიმდინარეობს ასევე შვიდი მინი-სპორტული მოედნის რეაბილიტაცია. მზადდება კულტურის სახლების, საბავშვო ბაღების სარეაბილიტაციო პროექტები. ასევე, ახალციხის მუსიკალური სკოლა, ქალაქის ერთ-ერთი ისტორიული ძეგლია. მას შესაბამისი სტატუსი აქვს მინიჭებული და აუცილებელია სწორედ შესაბამისი სტანდარტებით მისი რეაბილიტაცია მოხდეს. ამით ჩვენ მოგვეცემა საშუალება, გარდა სამუსიკო სკოლის, შენობაში განთავსდეს კულტურული დაწესებულებები, რითაც თითოეულ ადამიანს ნიჭის გამოვლენის საშუალება მიეცემა.

**- რაც შეეხება უშუალოდ სოფლებს, სასმელი, სარწყავი წყალი, გაზიფიცირება... რამდენად არის ეს ინფრასტრუქტურა მოწესრიგებული?**

- 2014 წლამდე, ფაქტობრივად, მხოლოდ ქალაქი ახალციხე იყო გაზიფიცირებული. დღეს მუნიციპალიტეტის სოფლების თითქმის მესამედი უკვე გაზიფიცირებულია და ყოველდღიურად მიმდინარეობს განვითარება. ეს, ერთის მხრივ, ჩვენი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას გააუმჯობესებს და პარალელურ რეჟიმში, რა თქმა უნდა, გადაარჩენს ბუნებას, ხე-ტყეს გაჩეხვისგან. ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი მუნიციპალიტეტისათვის სოფლის მეურნეობის კუთხით მელიორაციის განვითარება. ჩვენი მხარე მშრალ ჰავიანია და სარწყავი სისტემები თუ არ მოეწყობა, მოსავალიც შესაბამისად ნაკლები იქნება. ამიტომ, მე მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადავუხადო სოფლის მეურნეობის სამინისტროს და შპს „მელიორაციას“, რომელმაც ჩვენს მუნიციპალიტეტში რამდენიმე პროექტი წარმატებით განახორციელა. პარალელურად, რამდენიმე პროექტი ჩვენი მუნიციპალიტეტის დაფინანსებით განვახორციელეთ - ხუთი სატუმბი სადგური და ბუნებრივი სარწყავი არხები, რამაც სარწყავი სისტემები გაზარდა. ამით, მოსახლეობას საშუალება ეძლევა თითოეულ ჰექტარზე მოსავლიანობა გაზარდოს და მატერიალური მდგომარეობა გაიუმჯობესოს.

**- თუ მიმდინარეობს ან იგეგმება ბაგა - ბაღების რეაბილიტაცია, მშენებლობა?**

- ძალიან მნიშვნელოვანია სკოლამდელი აღზრდა. ამ კუთხით ჩვენ უკვე დავიწყეთ მუშაობა 2014 წელს. რამდენიმე წელიწადში 14 ახალი საბავშვო ბაღი გავხსენით და უახლოეს დღეებში ორს კიდევ გავხსნით. თითქმის აღარ დაგვრჩა სოფელი, სადაც საბავშვო ბაღი არ არის. ერთადერთი სოფელია წყრუთი და უკვე ეს პროექტიც მომზადებული გვაქვს. 2019 წელს ამ სოფელსაც ექნება საბავშვო ბაღი. მიმდინარეობს ქალაქ ახალციხის საბავშვო ბაღების სარეაბილიტაციო პროექტების მომზადება. ქალაქში საბავშვო ბაღები გადატვირთულია და დამატებითი გვაქვს ასაშენებელი. ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია სოფლებსა და ქალაქში ახალგაზრდული ცენტრების მოწყობა. გაიხსნა ე.წ. სოფლის სახლები და ცხრა ახალი ბიბლიოთეკა. სწორედ ბიბლიოთეკების გარშემო იკრიბებიან ახალგაზრდები და თავიანთ მოსაზრებებს, წინადადებებს წარმოადგენენ. ცენტრებში შემოდის პეტიციები, წინადადებები თუ როგორ უნდა განვითარდეს მათი დასახლებები, რა საჭიროებებია ადგილზე. აღნიშნული წინადადებები ჩვენთვის უკვე სამუშაო გეგმას წარმოადგენს.

**- განხორციელებული პროექტების მიუხედავად, ძირითადად, რა პრობლემებია რაიონში?**

- რა თქმა უნდა, მუნიციპალიტეტში კიდევ ბევრია გასაკეთებელი. სარეაბილიტაციოა ქალაქის ცენტრალური ქუჩები. საჭიროა სოფლის დასახლებებში საკანალიზაციო ქსელის მოწესრიგება, ჯანსაღი ცხოვრების წესის განვითარებისთვის დამატებით ახალგაზრდული ცენტრების, სპორტული მოედნების მოწყობა. მნიშვნელოვანია კულტურული დაწესებულებების განვითარება. სამუშაო ადგილების შექმნის მიზნით აუცილებელია რამდენიმე საწარმოს აშენება. აღსანიშნავია, რომ ბევრ პროექტს ვახორციელებთ, მაგრამ მოსახლეობას ასევე კეთილმოწყობილ ინფრასტრუქტურაში დასაქმების საშუალება უნდა მივცეთ. ჩვენ ვართ მხარე, სადაც შესაძლებელია ბიზნესი სხვადასხვა მიმართულებით განვითარდეს. ეს იქნება სოფლის მეურნეობა თუ მრეწველობა. ახალციხე ყოველთვის იყო სამრეწველო ქალაქი. სამხარეო ადმინისტრაციასთან ერთად შეხვედრები გვაქვს სტუდენტებთან, ადგილობრივ მოსახლეობასთან და ერთად გავდივართ სტრატეგიული გეგმის შემუშავების საკითხებს.

**- ახალციხე ისტორიული ქალაქია. შესაბამისად, დიდია ტურისტების დაინტერესება. ამ მიმართულებით როგორ ვითარდება ქალაქი?**

- ამ მიმართულებით ძალიან ბევრია გაკეთებული, თუმცა ინფრასტრუქტურის კიდევ უფრო განვითარება აუცილებელია. ახალციხეში ტურიზმი, ძირითადად, ისტორიულ ძეგლებზეა დამკვიდრებული, თუმცა გვაქვს პოტენციალი და მნიშვნელოვანია, სხვა მიმართულებებიც წამოვიდეს წინა პლანზე. ის, რომ ტურიზმი მზარდია არა მხოლოდ სამცხე-ჯავახეთში, არამედ მთლიანად საქართველოში, ამას ჩვენ სტატისტიკა გვეუბნება. აქედან ჩანს, რომ ქვეყანა სწორი მიმართულებით ვითარდება. იზრდება ტურიზმი, ე.ი. იზრდება დაინტერესება ჩვენი ქვეყნისადმი-საქართველოსადმი. ამასთან, იზრდება ეკონომიკა, მზარდია განხორციელებული პროექტების რაოდენობა, როგორც ქვეყნის, ასევე, მუნიციპალიტეტების ბიუჯეტები და ეს ხელს შეუწყობს განვითარდესსაწარმოები და ბიზნესი.

ეს არის სწორი ხედვა იმ მმართველი გუნდის, რომელიც დღეს ჩვენს ქვეყანას ხელმძღვანელობს.

საქართველო ბევრი თვალსაზრისით, მათ შორის ისტორიულად, გამორჩეული ქვეყანაა. ჩვენს ერთ-ერთ მთავარ ღირსებად ტოლერანტობა და მრავალეროვნება ითვლება. ამის ნათელი დასტურია სამცხე-ჯავახეთის რეგიონი, რომელსაც ცოტა ხნის წინ სომხეთის ახლად არჩეული პრემიერ-მინისტრი ნიკოლ ფაშინიანი ეწვია. პრემიერი საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფლებს სტუმრობდა, საიდანაც ახალქალაქში გაემგზავრა. ახალქალაქის კულტურის ცენტრში გამართული შეხვედრისას კი მან მოძმე ერებს შორის არსებულ მეგობრობასა და მისი კიდევ უფრო გაღრმავების მნიშვნელობაზე ისაუბრა. თავის მხრივ, საქართველოს ხელისუფლება ადასტურებს, რომ აუცილებლად იმუშავებენ ერთად, რათა კიდევ უფრო მეტი სარგებელი მივიდეს, როგორც საქართველოს, ასევე სომხეთის მოქალაქეებთან. მმართველი გუნდისათვის უმნიშვნელოვანესია რეგიონში მეცნიერების ხელშეწყობა და ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფა. შესაბამისი სახელმწიფო პოლიტიკის მნიშვნელობა თავისი შინაარსით კარგად ესმის ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მერს **იური უნანიანს,** რისთვისაც მას ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მოსახლეობამ ნდობა გამოუცხადა.

## ჩვენი ხალხი ბრძენია და სასიკეთო ცვლილებებს ხედავს

**- ბატონო იური, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებიდან ცოტა დროა გასული. რისი გაკეთება მოხერხდა რაიონში?**

- ახალქალაქი რელიეფური კუთხით სხვა მუნიციპალიტეტებთან შედარებით განსხვავებულია. როდესაც მერის რანგში შევუდექი მუშაობას, ფაქტობრივად ზამთარი იყო და ინფრასტრუქტურული სამუშაოების განხორციელება, პრაქტიკულად, შეუძლებელი გახდა. 2018 წელს განახლებული ენერგიით დავიწყეთ გასული და მიმდინარე წლისთვის გაწერილი პროექტების რეალიზება, რადგან კარგად გვესმის, რომ მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, მაღალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების ეზოების კეთილმოწყობა. ასევე, განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა შენახვა. 2018 წელს დაგეგმილია ახალქალაქის ქუჩების ორმოული შეკეთება. ახალი მნიშვნელობის გზებისა და შიდაკვარტალური მისასვლელი გზების რეაბილიტაცია. უკვე დასრულდა ცენტრალური გზიდან უნივერსიტეტამდე მისასვლელი გზის ასფალტირება. რაც შეეხება სასოფლო გზებს, განხორციელდება ბარალეთი - იხტილას, ბარალეთი-ბეჟანის დაახლოებით 3 კილომეტრიანი მონაკვეთების რეაბილიტაცია. დაიწყება ასევე ქართული სოფლების, ვაჩიანი-გოგაშენის, ჩუნჩხა-დილისკას გზების რეაბილიტაცია. აღვნიშნავ, რომ ვაჩიანი-გოგაშენის გზა უკავშირდება ვარძიას, რაც ტურისტული თვალსაზრისითაც საკმაოდ მომგებიანია. ძალიან მნიშვნელოვანია წყალმომარაგების პრობლემის მოგვარება, რისთვისაც დაწყებულია სოფელ აზმანასა და დიდი სამსირის სასმელი წყლის წყალსადენის სისტემების რეაბილიტაცია. ყანების მოსარწყავად და პირუტყვის დასაწყურებლად რეაბილიტირდება და გაიწმინდება სარწყავი წყალსაქაჩი არხები სოფლებში-ოლავერდი, სულდა, დადეში, ერინჯა, ჩამდურა, გოკი. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი თემა ეხება გაზიფიცირებას. ამ ეტაპისთვის მთლიანად გაზიფიცირებულია ქალაქი და მიმდებარე სოფლები. ჯამში, 64 სოფლიდან დარჩენილია 22 სოფელი, სადაც ჯერ კიდევ ვერ მოხერხდა ბუნებრივი აირის შეყვანა. ვიმედოვნებ, რომ ამ სოფლების გაზიფიცირებაც ახლო მომავალში იქნება შესაძლებელი. ასევე, მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს სანიტარული მდგომარეობის უზრუნველყოფა, შესაბამისად ქვეპროგრამის ფარ-

გლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ყოველდღიური დაგვა–დასუფთავება და ნარჩენების გატანა, გარე ქსელის ბუნკერების საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან გათავისუფლება.

**– რა ვითარებაა სკოლების მშენებლობა - რეაბილიტაციის მხრივ?**

- „ათასწლეულის გამოწვევის ფონდის“ მიერ სოფელ კარტიკამში სრულად რეაბილიტირებული საჯარო სკოლა გაიხსნა. სკოლა დაახლოებით, 400 ბავშვზეა გათვლილი და მისი აღდგენითი სამუშაოები 2 წლის წინ დაიწყო. ასევე, სოფელ კუმურდოში, ადგილობრივი ბიზნესმენის დახმარებით, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი, 450 მოსწავლისთვის გათვლილი სომხურენოვანი სკოლა აშენდა. სკოლა აღჭურვილია ახალი ინვენტარით და თანამედროვე ტექნიკით, ასევე სტანდარტული ზომის სტადიონით, სარბენი ბილიკით, საცურაო აუზით, ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნებით. მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს. შესაბამისად, მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა და ახალი ბაღების მშენებლობა. ამჟამად, ქალაქში სამი ბაღი ფუნქციონირებს. სოფელ კარწახში აშენდა ახალი ბაღი, თუმცა ჯერ-ჯერობის ექსპლუატაციაში არ არის შესული.

**– საქართველოს რეგიონებში ჯერ კიდევ ფიქსირდება პრობლემები. რა ვითარებაა ამ მხრივ ახალქალაქში?**

- მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლების განმავლობაში მართლაც ბევრი საქმე გაკეთდა, სამწუხაროდ, ჯერჯერობით პრობლემები ისევ აქტუალური რჩება, რაც ისევ და ისევ, მწირი ბიუჯეტითაა გამოწვეული. გზების, წყალსადენების, სკოლების, საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია - მშენებლობას კი სოლიდური თანხები სჭირდება. ამას ემატება სოციალური, სამედიცინო პრობლემები. მუნიციპალიტეტის შესაბამის სამსახურში დახმარების თხოვნით არაერთი წერილი შედის. სხვადასხვა ქვეპროგრამების ფარგლებში გაწერილია ექსტრემალური შემთხვევების, ოპერაციებისა და მკურნალობის, ომში მონაწილეთა დაკრძალვის ხარჯები. გათვალისწინებულია სიმსივნით დაავადებულთა, ახალშობილთა დახმარება, სოციალურად დაუცველი, შშმ და რეპრესირებული პირების, ობოლი ბავშვების, მარტოხელების, ოჯახების ორი ან მეტი პენსიონერით, დევნილების, მრავალშვილიანების ერთჯერადი ფინანსური დახმარება. მიუხედავად ამ ყველაფრისა, საბოლოო შედეგის მისაღწევად, ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი.

**– ბატონო იური, რას გვეტყოდით სპორტისა და კულტურის მხრივ, რა ვითარებაა რაიონში...**

- მინდა აღვნიშნო, რომ საკმაოდ დიდი წარმატებები აქვთ სპორტში ჩვენ ახალგაზრდებს, განსაკუთრებით კრივში. გვყავს რამდენიმე ჩემპიონი საქართველოს მასშტაბით, ერთმა კი ევროპის ჩემპიონობა მოიპოვა. მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს სპორტული სკოლა, სადაც ირიცხება 198-მდე სპორტსმენი. გვყავს ფეხბურთის გუნდი „აბული“, რომელიც საქართველოს ჩემპიონატში მონაწილეობს. სკოლაში ფუნქციონირებს სპორტის 7 სახეობა: ჭაბუკთა ფეხბურთი და მინი ფეხბურთი, ფრენბურთი, კარატე, რაგბი, მაგიდის ჩოგბურთი, თავისუფალი სტილის ჭიდაობა. რაც შეეხება კულტურას, გვყავს ორი ანსამბლი - „ ჯავახკი“ და ქართული ანსამბლი „მურჯი“; სახელმწიფო ინსტრუმენტალური ანსამბლი, თოჯინების თეატრი, საბავშვო თეატრი, საესტრადო ანსამბლი. კლუბური გაერთიანებები აგრეთვე არსებობს მუნიციპალიტეტის 30 სოფელში, რაც ხელს უწყობს მოსახლეობას, ბავშვებს, შეისწავლონ და მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა ღონისძიებებში. ბოლოს აღვნიშნავ, რომ მიზნები და ამოცანები დიდია, თუმცა ვიხელმძღვანელებთ ბიუჯეტის შესაძლებლობებით. ჩვენი ხალხი ბრძენია და სასიკეთო ცვლილებებს ხედავს.

საქართველოში რეგიონული და ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარების ხელშეწყობის მეორე ფაზა დაიწყო. აღნიშნული პროექტი 2018-2021 წლებში, საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციების

დახმარებით განხორციელდება და ამისათვის მილიონობით დოლარი დაიხარჯება. ხელისუფლება აღიარებს, რომ დეცენტრალიზაცია დემოკრატიული მმართველობის სისტემის გამართული ფუნქციონირებისთვის აუცილებელი პირობაა და მათი განსაკუთრებული პასუხისმგებლობაა ამ მიმართულებით რეფორმები გაატაროს. შესაბამისად, არსებობს კიდეც პოლიტიკური ნება-ხელისუფლების ყველა შესაბამისი განშტოება, როგორც პარლამენტი, ასევე საქართველოს მთავრობა ერთიანია. მეორე ფაზის ფარგლებში, რეფორმების ერთ-ერთი მთავარი მიმართულება სწორედ, ადგილობრივ დონეზე, ადამიანური რესურსებისა და თვითმმართველობების შესაძლებლობების განვითარება იქნება. მნიშვნელოვანია ასევე, რომ საბოლოოდ, გატარებულმა რეფორმებმა რეგიონებში არსებული უთანასწორობა უნდა აღმოფხვრას და ხელი შეუწყოს მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებას. აღნიშნული პროექტის განხორციელების მნიშვნელობა კარგად ესმის ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერს, ბატონ **ლევან ლიპარტიას**, ვისთვისაც მოსახლეობის მიერ არჩევნებში გამოცხადებული ნდობა დიდი პასუხისმგებლობაა. ბორჯომში მიმდინარე სიახლეებსა და სამომავლო პერსპექტივებზე მერი თავად გვესაუბრა...

## ბორჯომის მუნიციპალიტეტისათვის მოქალაქეთა მდგომარეობის გაუმჯობესება პრიორიტეტულია

**- ბატონო ლევან, თქვენი მერობიდან დაახლოებით 9 თვე გავიდა. რის გაკეთება მოხერხდა ამ პერიოდის განმავლობაში?**

- მოგეხსენებათ, რომ არჩევნების შემდეგ ბორჯომში ვითარება პოლიტიკური პროცესების ფონზე წარიმართა. კერძოდ, საკრებულო, რომლის თავმჯდომარეც ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელი იყო, ხელს უშლიდა მერიის, მისი სამსახურების ფორმირებასა და გამართულ ფუნქციონირებას. არ მტკიცდებოდა საშტატო ნუსხა, პროექტები. ეს იყო პოლიტიკური საბოტაჟი, რომელმაც გარკვეულ დონეზე მოსახლეობის ინტერესები დააზარალა. საბოლოოდ, ეს კრიზისი დავძლიეთ და მიუხედავად იმისა, რომ საკრებულოს ახლაც ოპოზიციონერი თავმჯდომარე ჰყავს, საერთო აზრის გამონახვა მოვახერხეთ. პროექტების

განხორციელება არათუ დაწყებულია, არამედ წამოვეწიეთ თითქმის გრაფიკს. წლის ბოლომდე კი ყველა სამუშაოს დავასრულებთ.

**- კონკრეტულად, რა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება მიმდინარეობს?**

- ძირითადად, ეს ეხება საგზაო ინფრასტრუქტურას. სოფელ რველში, ბანიხევის გზის პირველი მონაკვეთის სამუშაოები დასრულებულია. ადგილზე 398 მ. სიგრძის რკინა-ბეტონის საფარი მოეწყო. აღნიშნულ მონაკვეთზე გზის საფარი არასოდეს ყოფილა. რთული რელიეფისა და ციცაბო გრუნტის გზის გამო, ფეხით მოსიარულეებისა და ტრანსპორტისათვის გადაადგილება განსაკუთრებულ დისკომფორტს წარმოადგენდა. დღეს უკვე ადგილობრივები კეთილმოწყობილი საგზაო ინფრასტრუქტურით სარგებლობენ.

აღსანიშნავია რომ, ბანისხევის უბანში პროექტით ასევე გათვალისწინებულია 1000 მეტრი სიგრძის ასფალტის საფარის მოწყობაც. სამუშაოები რეგიონალური განვითარების ფონდისა და ბორჯომის მუნიციპალიტეტის თანადაფინანსებით ხორციელდება. აქტიურად მიმდინარეობს გზის

მოწყობის სამუშაოები სოფელ ზანავში. სამუშაოები აქ ორ მონაკვეთზეა გათვალისწინებული. პირველ მონაკვეთზე ასფალტის საფარი იგება, ხოლო მეორე მონაკვეთზე რკინა-ბეტონის. ჯამში ზანავში ნახევარი კილომეტრის გზა კეთილმოეწყობა. აღნიშნულ მონაკვეთებზე კეთილმოწყობილი გზა არასოდეს ყოფილა. სამუშაოები ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დაფინანსდა. უახლოეს მომავალში დასრულდება გზის მოწყობის პროექტი სოფელ ვარდგინეთში. პროექტი აქაც ორ მონაკვეთზე განხორციელდა. საბავშვო-ბაღის მიმდებარედ რკინა-ბეტონის საფარი 426 მ სიგრძის მონაკვეთზე დაიგო, სტადიონამდე მისასვლელ გზაზე კი ასფალტის საფარი 150 მ მონაკვეთზე მოეწყო. პროექტის ფარგლებში სამუშაოები გათვალისწინებულია სოფელ საკირეში. სამუშაოები ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მიერ 397 700 ლარით დაფინანსდება. ამ დროისათვის სოფლებში ქვაბისხევში, ტბაზე და დაბა წაღვერში რკინა-ბეტონის გზების მშენებლობის მნიშვნელოვანი ნაწილი დასრულებულია. ამ ეტაპზე აქტიურად მიმდინარეობს დამხმარე ნაგებობის მოწყობა. სამივე ობიექტზე ჯამში 3,5 კილომეტრამდე სიგრძის რკინა-ბეტონის გზა მოეწყო. პროექტებს რეგიონალური განვითარების ფონდისა და ადგილობრივი მუნიციპალიტეტის თანადაფინანსებით, დაახლოებით 800 000 ლარი მოხმარდება. ხორციელდება ასევე სხვადასხვა სახის პროექტები. კერძოდ, სოფელ სადგერის საკანალიზაციო მაგისტრალის რეაბილიტაცია. მასშტაბური პროექტის მიხედვით, ჯამში კანალიზაციის ქსელი 1796 მეტრზე მოეწყობა, რასაც 158 550 ლარი მოხმარდება. აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიამ ბორჯომის მუნიციპალიტეტს 250 ნაგავშემკრები კონტეინერი გადასცა. ახალმა ურნებმა ქალაქ ბორჯომში ასევე დაბა წაღვერში, დაბა ახალდაბაში და დაბა ბაკურიანში ძველი ურნები ჩაანაცვლა. კონტეინერები კონკრეტულ ტერიტორიებსაც დაემატა. ძველი დაზიანებული ურნების ნაწილი შეკეთდა და ისინი სოფლებში გადანაწილდა. ტურისტული სეზონის მოახლოებასთან ერთად, ევროსტანდარტების შესაბამისი ურნებით საქართველოს სხვადასხვა რეგიონი 10 000 ურნით ეტაპობრივად აღიჭურვება, რაც რეგიონებსა და ტურისტულ ზონებში დასუფთავების სერვისის, ეკოლოგიური და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას ხელს შეუწყობს.

**- მოსახლეობის მხრიდან ძირითადად რა პრობლემები სახელდება?**

- არასამთავრობო ორგანიზაცია „სამცხე-ჯავახეთის მედია-ცენტრი“-ის, „ევროპის ფონდის“ და „SIDA”-ს ფინანსური მხარდაჭერით ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფლებში ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების შეხვედრები მოსახლეობასთან გრძელდება. შემიძლია გითხრათ სოფელ მზეთამზეს მაგალითზე. მოსახლეობამ მთავარ გამოწვევად სოფელში სასმელი წყლის დებეტი, გარკვეულ მონაკვეთებზე გზის, გარე-განათების, ასევე სკვერების, სტადიონებისა და მუნიციპალური ტრანსპორტის საჭიროება დაასახელა. წელს სოფელ მზეთამზეში ბიუჯეტით გათვალისწინებულია 5 ჩიხის რეაბილიტაცია, რისთვისაც 300 000 მეტი ლარი დაიხარჯება, გარდა ამისა, ერთ-ერთ ჩიხში გზის მოწყობამდე საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაცია განხორციელდება. სასმელი წყლის დებეტის გაზრდისთვის მომავალ წელს გაკეთდება სრულყოფილი პროექტი, რომელიც მოსახლეობას წყლის პრობლემას მოუგვარებს და ამასთანავე, საკურორტო სოფელში საოჯახო სასტუმროების მატებასთან ერთად მათი საკმარისი სასმელი წყლით მომარაგების უზრუნველყოფაზეც იქნება გათვლილი. მანამდე კი წელსვე ა(ა)იპ "სოფლის წყალი" მზეთამზის წყლის მაგისტრალზე სხვადასხვა სახის სამუშაოებს ჩაატარებს. სოფელში სტადიონის მოწყობისათვის პროექტი წელს მომზადდება, მისი მშენებლობა კი მომავალ წელს განხორციელდება, ამავე ვადებში დაგეგმილია სკვერის მოწყობის სამუშაოებიც. მსგავსი შეხვედრა-დისკუსიები მუნიციპალიტეტის 30-ვე სოფელსა და 3 დაბაში გაიმართება.

**- რა კეთდება სოციალური პროგრამების ფარგლებში?**

- წინა თვეში მერიამ ამ მიმართულებით 96 700 ლარის დაფინანსება გასცა. აღნიშნული თანხით, მუნიციპალიტეტმა თანადგომა გაუწია 485 ბენ-

ეფიციარს. 41 652 ლარი 120 მოქალაქის სტაციონარული მომსახურებისათვის გამოიყო, მედიკამენტების შესაძენად კი 84 ბენეფიციარი 13 384 ლარით დაფინანსდა. მოქმედი სოციალური პროგრამების მიხედვით, დახმარება მიიღეს ასევე მრავალშვილიანმა ოჯახებმა, შშმ პირებმა, გამოჩენილმა ადამიანებმა, ახალდაქორწინებულებმა, ახალშობილებმა, 100 წელს გადაცილებულმა პირებმა და დედ–მამით ობოლმა ბავშვებმა. ბავშვთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, დედ-მამით ობოლ ბავშვებს მუნიციპალიტეტმა 200 ლარი გადასცა. ბორჯომში მოქმედი სოციალური პროგრამები ადგილობრივი ხელისუფლების მიერ სპეციალურად მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოქალაქეებისათვის შეიქმნა და ითვალისწინებს მერიამ დახმარება გაუწიოს, როგორც სოციალურად დაუცველ ბენეფიციარებს, ასევე მუნიციპალიტეტის ნებისმიერ მაცხოვრებელს.

ბორჯომის მუნიციპალიტეტისათვის მოქალაქეთა მდგომარეობის გაუმჯობესება ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რასაც ამ პროგრამების მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმატებით განხორციელებაც ადასტურებს.

**- ბატონო ლევან, კულტურული ღონისძიებების კუთხით რა პროექტები ხორციელდება რაიონში?**

- კულტურული ცხოვრება აქტიურია ჩვენს მუნიციპალიტეტში. არის ტრადიციული და ახალი ღონისძიებები. მაგალითად, ყოველწლიურად აღვნიშნავთ ადგილობრივ დღესასწაულს „ბაკურიანობას“, რომელიც წელს 24-25 თებერვალს ჩატარდა. გაიმართა სხვადასხვა სპორტული შეჯიბრება ზამთრის სახეობებში, რომლებშიც მონაწილეობა მიიღეს, როგორც ადგილობრივმა, ასევე ჩამოსულმა დამსვენებლებმა, მოყვარულმა სპორტსმენებმა. მადლიერების სიგელებით დაჯილდოვდნენ ვეტერანი სპორტსმენებიც წარსულში მიღწეული წარმატებებისათვის. ახლახანს საზეიმოდ დაიხურა თენგიზ ამირეჯიბის სახელობის პიანისტთა მე-2 საერთაშორისო კონკურსი. დაჯილდოვდნენ ოთხი ასაკობრივი კატეგორიის მიხედვით I-II-III პრემიის ლაურეატები. კონკურსში მონაწილეობა მიიღო, როგორც საქართველოს, ასევე სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან, უკრაინიდან, თურქეთიდან და რუსეთიდან ჩამოსულმა შემსრულებლებმა, რომელთა ასაკი 6-დან 25 წლამდე იყო. კონკურსანტებისათვის გაიცა სოლიდური ფულადი ჯილდოები. კონკურსის საპრემიო ფონდი წელს 15 000 ლარით განისაზღვრა, რომელიც დაწესდა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და ბორჯომის მუნიციპალიტეტის მიერ. აღსანიშნავია, რომ კონკურსში წარმატებული გამოსვლა ჰქონდა ბორჯომის სამუსიკო სკოლის პედაგოგების - მარინა რატიანისა და მარინა გაბაშვილის მოსწავლეებს. მიმდინარე წელს არაერთი კონცერტი გაიმართა პროექტ "Check in Georgia"-ს ფარგლებში. მხარდაჭერა აღმოვუჩინეთ სხვადასხვა მუსიკოსთა კონცერტებსა და კონკურსებს, რაც მოსახლეობისა და დამსვენებლების დიდ ინტერესსა და კმაყოფილებას იწვევს. მუნიციპალიტეტს ჰყავს წარმატებული მოსწავლეები და სტუდენტები. ბორჯომელი „ეტალონი მოსწავლე“ ანა მორჩილაძე ეროვნულ ინტელექტ-ჩემპიონატ „ეტალონის" საზეიმო ფინალზე ცხრა საუკეთესო მოსწავლეს შორის დასახელდა. ბორჯომელმა მოჭიდავემ დიმიტრი ხაჩიძემ ევროპის ჩემპიონატზე ჩემპიონობა მოიპოვა ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში კადეტებში, რომელსაც მუნიციპალიტეტის მერიამ, წახალისების სახით, ფულადი ჯილდო გამოუყო. ასევე წავახალისეთ ბორჯომის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სკოლის მოსწავლე, გერმანიაში პიანისტთა საერთაშორისო კონკურსში გამარჯვებული, საბა ლომსაძე. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ბორჯომის მუნიციპალიტეტი კულტურული და ინტელექტუალური აქტივობების თვალსაზრისითაც ერთ-ერთი გამორჩეულია.

# სამშენებლო კომპანია

# MTM



l.t.d mtm Agmaschenebeli AVE N81.
Kutaisi, Georgia
Office: +995 0 790 702 302;
+995 (0) 431 25 13 25
Mobile: +995 599 58 77 48
Email: ltdmtm@gmail.com

ფლორა და ფაუნა, მრავალფეროვანი ლანდშაფტები ჩვენი ბუნებრივი კაპიტალია, რომელზეც დამოკიდებულია ადამიანთა კეთილდღეობა, ჯანმრთელობა, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და ქვეყნის განვითარება ტურიზმის, სატყეო მეურნეობისა და სხვა მიმართულებებით. საქართველო, როგორც კავკასიის ნაწილი, აღიარებულია ერთ-ერთ განსაკუთრებულ რეგიონად - ბიომრავალფეროვნების „ცხელ წერტილად". დაცული ტერიტორიები, ეროვნული პარკები, სახელმწიფო ნაკრძალები ჰქმნის ამ უნიკალურ სიმდიდრეს. ჩვენი ქვეყნის თითოეული კუთხე ბუნებით, სახეობრივი მრავალფეროვნებებით გამორჩეულია. გარემოს დაცვის თვალსაზრისით არაერთი ნაბიჯი იდგება, თუმცა გამოწვევები ამ მიმართულებით კვლავაც რჩება. სახელმწიფო ერთიანი სამოქმედო სტრატეგიის ფარგლებში, გამოწვევებთან დასაპირისპირებლად, ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენებისთვის, ეკოლოგიური უსაფრთხოებისა და მდგრადობის უზრუნველსაყოფად ეკო-ომბუცმენის ინსტიტუტს ჰქმნის. აღნიშნული ინსტიტუტი სექტორებს შორის მნიშვნელოვანი გარემოსდაცვითი საკითხების განხილვის პლატფორმა უნდა გახდეს. თავის მხრივ, სახელმწიფოსთან ერთად ამ სიმდიდრის მოფრთხილება, მოვლა-პატრონობა თითოეული ჩვენგანის განსაკუთრებული ზრუნვის საგანი უნდა იყოს. სამოქალაქო პასუხისმგებლობის მნიშვნელობა კარგად ესმის ბორჯომის ისტორიული პარკის დირექტორს, **ლაშა ცაგარეიშვილს.** ცენტრალურ პარკში განხორციელებული პროექტებისა და სამომავლო გეგმების შესახებ თავად ბატონი ლაშა გვიამბობს...

## ბორჯომის ისტორიული პარკი დამსვენებლებს განახლებული ინფრასტრუქტურითა და მრავალფეროვანი კულტურული ღონისძიებებით ელოდება

**- ბორჯომის ისტორიული პარკის დირექტორად დაახლოებით სამი თვის წინ დაინიშნეთ. ამ მცირე პერიოდში რა გაკეთდა თქვენი ხელმძღვანელობით?**

- დავიწყოთ იმით, რომ ბორჯომის პარკი ადგილმდებარეობით, ჰაერით, ბორჯომის წყლით, გოგირდის აბაზანებით მართლაც უნიკალური ადგილია. ეს არის მარგალიტი არა მხოლოდ სამცხე-ჯავახეთისთვის, არამედ, მთელი საქართველოსთვის. ეს ბუნებრივი სიმდიდრე ჩვენ მოგვცა ღმერთმა, მაგრამ, მის მოწესრიგებას კაცმაც უნდა შეუწყოს ხელი. ამიტომ, ამ თანამდებობაზე დანიშვნის შემდეგ, ზრუნვა პირველ რიგში დავიწყეთ პარკის ინფრასტრუქტურის მოწყობაზე. კაპიტალურად გამოიცვალა სავალალო მდგომარეობაში მყოფი ხიდები, უნდა აღინიშნოს, რომ ეს ხიდები გიუსტავ ეიფელის გაკეთებულია, კულტურული მემკვიდრეობაა და ჩვენ სამუშაოების დროს ეს გარემოებაც გავითვალისწინეთ. ტურისტების სიმრავლემ განაპირობა დასაჯდომი ადგილების შევსება, მთლიანად 130 სკამი გამოიცვალა. გარდა ამისა, გაზონის მოსაწესრიგებლად და დასასუფთავებლად ყოველდღიურად ინტენსიური სამუშაოები მიმდინარეობს. დამსვენებელს არავითარ შემთხვევაში არ უნდა დახვდეს გავსებული ურნა და მოუწესრიგებელი გაზონი. პარკში გამოიცვალა განათება. მათ შორის განათდა ბიუეტი. მოვაწესრიგეთ საპირფარეშოები, სტუმრისთვის ამის არ არსებობა ან უსუფთაობა ძალიან დიდი დისკომფორტია. ასევე ტენდერის მეშვეობით გამოვლინდა გამარჯვებული კომპანია, რომლის დახმარებითაც ატრაქციონებისათვის ნაწილების გამოცვლა განხორციელდა. მოგეხსენებათ, ატრაქციონები ბავშვებს ემსახურება და ტექნიკურად აბსოლუტურად გამართული უნდა იყოს. ამჟამად უსაფრთხოების ზომები დაცულია და ყველა ატრაქციონის ექსპლუატაცია შესაძლებელია, რისთვისაც შესაბამისი საექსპერტო დასკვნა გვაქვს. საშინელ, უმოქმედო მდგომარეობაში დაგვხვდა კინოთეატრი, შემიძლია თამამად განვაცხადო, რომ უკვე სამუშაოები ჩატარებულია და ყველაფერი მოწესრიგებულია, გაკეთებულია კონდიცირება, განათება. ასე რომ, ნებისმიერ ღონისძიებას შევძლებთ ვუმასპინძლოთ.

**- გაკეთებული საქმის მიუხედავად რა პრობლემები რჩება კვლავ?**

- პარკში არის რომანოვების აშენებული გენიალური კაშხალი, რომლის რესტავრაცია დაგეგმილი იყო, მაგრამ რატომ გადაიდო ვერ გეტყვით, რადგან ეს ჩემს კომპეტენციაში არ შედის. შეძლებისდაგვარად მოვაწესრიგეთ, დავასუფთავეთ, შევღობეთ. იქედან გამომდინარე, რომ ტერიტორიაზე ტურისტები შედიოდნენ და სიცოცხლისთ-

ვის საშიში პირობები იყო, გაკეთდა აბრა წარწერით - მიმდინარეობს რეკონსტრუქცია. დიდი პრობლემა გვაქვს აუზთან დაკავშირებითაც. ეს არის შესანიშნავი ნაგებობა, მაგრამ თავის დროზე უხარისხოდაა გაკეთებული. ხელახლა მის გასაკეთებლად ვეძებთ ინვესტორს. რაც შეეხება საბაგიროს, ის კერძო საკუთრებაა და არა პარკის. ამიტომ, ამ სამუშაოებსაც ვერ ვახორციელებთ. ასევე პრობლემა იყო სამედიცინო პუნქტების არ არსებობა, თუმცა ამ საკითხის მოგვარება უკვე დაწყებულია. როდესაც ათასობით სტუმარს ელოდები, ასეთი დაწესებულებები აუცილებელია პარკის ტერიტორიაზე. გამოცხადების სისტემა მოსაწესრიგებელია, ამისათვის, მთელ ტერიტორიაზე დინამიკების დამონტაჟებაა საჭირო.

**- პარკის ტერიტორია ზონებად დაიყო. რამდენი ზონაა სულ?**

- პირველი არის ბიუეტის ზონა. ამის შემდეგ, ხიდს იქით, არის საატრაქციონო ზონა. ახლა კეთდება ასევე სარელაქსაციო ზონა. შესაბამისი ტენდერი ერთ-ერთმა კომპანიამ უკვე მოიგო. სარელაქსაციო ზონა 100 დასაჯდომ ადგილს გულისხმობს თავისი მაგიდებით, ნაგვის ურნით, ჰამაკებით, პუფებით. ეს პარკისთვის იქნება მართლაც მნიშვნელოვანი პროექტი, რაც დამსვენებლების დაინტერესებასაც გამოიწვევს.

**- პარკის ტერიტორიაზე ქართული ანბანის ინსტალაციები განთავსდა. რა მიზანს ემსახურება ეს ინიციატივა?**

- ანბანი მცირე ზომის ბანერებზეა დატანილი. ეს ყოველივე ქართული ანბანის პოპულარიზაციის მიზნით გაკეთდა. ქართულ ასოებთან ერთად, ბანერებზე ინგლისური და რუსული შესატყვისები წერია. ამ გზით, პარკის ვიზიტორებისა და სტუმრებისათვის, ქართული დამწერლობა უფრო მეტად ადვილი და საინტერესოდ აღსაქმელი იქნება. როგორც აკადემიკოსი რამაზ პატარიძე ამტკიცებს, სხვა ყველა ანბანი ქართული ანბანიდან წარმოიშვა. შესაბამისი ლექციის ჩასატარებლად ბატონი რამაზის ჩამოყვანა გვსურს. აქვე აღვნიშნავ, რომ ვაკეთებთ ქართული ღვინის მუზეუმს. სიმბოლურად ისე დაემთხვა, რომ ის ანბანის პირდაპირ იქნება განლაგებული. დეგუსტაციასთან ერთად, სტუმრებს ღვინის ისტორიას მოვუთხრობთ.

**- თქვენ უკვე უმასპინძლეთ რამდენიმე ღონისძიებას, მათ შორის ფილმის – "ექვთიმე ღვთისკაცის" ჩვენებას. სამომავლოდ კიდევ რა პროექტები იგეგმება?**

- პროექტ "Check in Georgia"- ს ფარგლებში ვუმასპინძლეთ დავით ევგენიძეს ბენდთან ერთად და ესტრადის ცნობილ შემსრულებლებს.

ამასთან, კინოთეატრის დარბაზში, ბავშვთა ფედერაციამ "IDS ბორჯომი საქართველო"-სა და ბორჯომის მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით, 500-მდე წარმატებული მოსწავლე და 50-მდე პედაგოგი დააჯილდოვა. ჯილდოები მიიღეს, როგორც წარმატებულმა მოსწავლეებმა, ასევე სხვადასხვა შეჯიბრში და კონკურსში გამარჯვებულმა სპორტსმენებმა და სამუსიკო სკოლის აღსაზრდელებმა. ამავე კინო-საკონცერტო დარბაზში რეჟისორ ნიკოლოზ ხომასურიძის მხატვრული ფილმის – "ექვთიმე ღვთისკაცის" პრემიერა შედგა. ფილმის გადაღებები, რომელიც საქართველოს ეროვნული საგანძურის მცველის ცხოვრებას ეძღვნება, თბილისის პარალელურად პარიზსა და ლევილში მიმდინარეობდა. ფილმის სიუჟეტი 1921-1945 წლებში ექვთიმეს საფრანგეთში ემიგრაციაში ყოფნის პერიოდს ასახავს. ექვთიმე თაყაიშვილის როლს ფილმში, გერმანიაში მოღვაწე, ცნობილი მსახიობი რეზო ჩხიკვიშვილი ასრულებს. ამ კლუბში, 10 წლის განმავლობაში, ეს იყო პირველი ნაჩვენები ფილმი. რაც შეეხება სამომავლო გეგმებს, ივლისის დასაწყისში მოძრაობის თეატრის ჩამოყვანას ვაპირებთ. ერთი სპექტაკლი უშუალოდ მოძრაობის თეატრის იქნება. მეორე კი-კახა ბაკურაძე ბენდთან ერთად ლექსებს წაიკითხავს. დაგეგმილი გვაქვს, კონცერტების გასამართად სხვადასხვა რაიონებიდან ფოლკლორული ანსამბლები მოვიწვიოთ. ასევე, გვინდა ჩამოვიყვანოთ ბატონი გივი შახნაზარი, გამომდინარე იქედან, რომ რეგიონში ძალიან ბევრი ეთნიკურად სომეხი ცხოვრობს. გივი შახნაზარი არის ადამიანი, რომელიც სომხურიდან ქართულად და ქართულიდან სომხურად თარგმნის ტექსტებს. ჩემი დიდი სურვილია პარკი კულტურული თვალსაზრისით უფრო მეტად დაიტვირთოს და დამსვენებელს საინტერესო გარემო დახვდეს.

Polimeri1
GEORGIAN PLASTIC PIPES

 პოლიმერი1 არის პოლიმერის მილებისა და ფირის წარმოების კომპანია, რომელიც ფუნქციონირებს 1995 წლიდან.
2009 წელს კომპანია აღიჭურვა თანამედროვე ტექნოლოგიებით, რომლითაც იწარმოება სასმელი წყლისა და გაზის მაგისტრალური ქსელებისათვის მაღალ წნევებზე მომუშავე 24 დასახელების პოლიმერის მილები.
2017 წლიდან კომპანიამ დაიწყო ''გოფრირებული'' მილების წარმოება, რომელიც განკუთვნილია საკანალიზაციო და სანიაღვრე სისტემებისთვის.



თბილისი, ვაგზლის ქ.15ა; ტელ:(995 32) 2 40-30-19; 599 993-636; 577 119-919;
E-mail: info@polimeri1.ge; www.polimeri1.ge

# HOTEL AISI

HOTEL
BORJOMI AISI




მის: საქართველო, ბორჯომი
9 აპრილის ქუჩა 1
ტელ:557 66 95 66

Adress: Hotel borjomi aisi
georgia, borjomi 9 aprili st 1
tel:557 66 95 66



ცხოვრება ზედმეტი ხარჯის გარეშე

# ფასადის თერმოიზოლაცია